



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 83
 20/11/2017

83-07-4-201711201907



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №83
 2017 წლის 20 ნოემბერი
 ქ. ლანჩხუთი

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. N61-ე ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად შედგენილი შემაჯამებელი ოქმის და საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე ცნობილ იქნეს 2017 წლის 21 ოქტომბერს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად წინამდებარე განკარგულების ძალაში შესვლისთანავე წყდება წინა მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ქანთარია



საკრებულოს სხდომის უხუცესი წევრი
 საკრებულოს წევრები